

# მარტინი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი  
და ქაშდეის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

გვივე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ  
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშუალნი და ტვირთმძიმენი  
და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 21

1883—1901

1—15 ნოემბერი.


ს ი ტ ჟ ა ს,

21 პეტრიაშვილი, თქმული ქუთაისის საქათვედრო ტაძარში.

მე ვარ გზა, და მე ვარ ჭეშმარიტება და  
ცხოვრება (იოან. 14, 6).

ეს ჩვენი ცხოვრების დრო ითვლება დროდ  
გონიერი მოძრაობისა და მღვიძარებისა, სწავლისა  
და გამოცდილების შეძენისა. მართლადა შესანიშნ  
მოძრაობაშია ჩვენი დროის დამიანი გონიებით.  
დაკმაყოფილება გონიერივი მოთხოვნილებისა ბევ  
რისათვის დღეს ისეთივე აუკილებელი და თავიდამ  
მოუშორებელი რამ გამხდარა, როგორც არსებობის  
ლუკაზე ზრუნვა; ბევრი ტანი და ფეხთ იკლებს,  
რომ ცადნის წყურვალი მოიკლას, გართულობა

და ლხენის ნაცვლად აღმებს დღეებს სხვა-და-სხვა  
გვარი წიგნების კითხვაში და წერაში, მუდამ ფიქრ-  
შია და გონიების ვარჯიშობაში. ამ გონიების მოძ-  
რაობამ, სწავლა-გამოცდილების შეძენის მძლავრმა  
სურვილმა ერთობ მოძრავი გახადა თვით კაცის  
ცხოვრება, მისი ყოფა-მდგომარეობა. დღეს დღილით  
კაცი შევი ზღვის პირათ რომ დასეირნობს, საღა-  
მოთი ბაქოში ჩადის, ხვალ უთენდება \* ზღვასავით  
გადაშლილ რუსეთის უსაზღვრო ველში და სხ.  
რასაკვირველია, ასეთი ზღაპრული სისწრაფის მოძ-  
რაობით მცხოვრები ადამიანი ბევრსა ხედავს, ბევრს  
ახალ გამოცდილებს იძენს და ბევრი რამ ახალი  
ესმის. ამასთან საყურადღებოა ის გარემოება, რომ  
ნანახს, გაგონილს და ახლად შეძენილს კაცი არ  
იმარხავს მხოლოდ თვის გულში. ყველაფერ ამას  
აქვეყნებს, აცხადებს, უზიარებს სხვებს და ატყო-  
ბინებს ბეჭვდითი სიტყვით, მწერლობით, ჟურნალ-



გაზეთების საშუალებით. დღეს ბეჭვდითი სიტყვა აღარა სტოვებს აღუნიშნავად და გამოუქვეყნებლად აღარაფერს. მწერლობაში, როგორც სარკეში იხედება საზოგადოების ცხოვრების სურათი, საზოგადოების ზნეობა და დაცუმულობა, რწმენა და გარეწრობა, სათნოიანობა და ბიწიერება. აბა მაშერთი წამით ჩავიხედოთ ამ უტყუარ სარკეში, რომ გავიგოთ სუფთა გვაქეს პირი-სახე, თუ მური გვცხია, ღვთიური შუქი გვაფენია, თუ საზიზლარი მუშუკი გვიბნევია შუბლის ქინძისთავად.

აი ერთი გაზეთი გვატყობინებს, რომ ვაჟა-შვილმა დანით დაკლა თავისი მშობელი მოხუცებული დედა იმის გამო, რომ უკანასკნელმა აღარ მისცა შვილს ფულები, რომელსაც ეს უბედური ხარჯავდა და აბნევდა უთავბოლოდ ლოთობაში (Kavk. № 267). მეორე გაზეთიდან ვტყობილობთ, რომ ერთი პატიოსანი, მშრომელი და გამრჯე მოხელე, სადილობის დროს თავის ცოლ-შვილში, მოკლა გულში დანის დაკვრით ახალ-გაზდა კაცმა, რომელიც დაუდევრობისა და სიზარმეცის გამო დაითხოვა სამსახურიდგან ამ საბრალისმა მოკლულმა (იგივე ჩავ. და ივერია № 222). აქ გვაცნობებენ, რომ ეკკლესიიდამ მოპარულ იქმნა ბარძიმ-ფეშემით! თავის მოკვლა, ახდა და დაკარგვა ქალწულობისა, გადაგდება უბრალო კარტოფილივით ქუჩაში ახლად დაბადებულისა, სიყალმას ჩადენა და სხვა ამ გვარები ხომ ისე გახშირდნენ, რომ უგაზეთოთაც გვიგონებთ და ვნახავთ საკუთარი თვალით თუგინდ რომ სულ მიყრუებულ სოფელში გვქონდეს ცხოვრება! აი რას გვიჩვენებს ჩვენი ცხოვრების სარკე, აი რა მარგალიტებს ალაგებს ბეჭვდითი სიტყვა ჩვენი ცხოვრების სკივრიდამ, აი რა თვალწარმტკიცი ფერადებით ასურათებს იგი ჩვენ ხასიათს და ზნეობას, ჩვენი გულის წადილს და გონების მიმართულებას!

ვკითხულობ, მესმის, ვხედავ ამ შესახარ ამბებს, ვუკვირდები ამ ჩვენი ზნეობრივი ცხოვრების სიმახინჯეს, სულის სიავადეს, კეთროვნებას და, შიშით შეცყრბილი, ვეკითხები ჩემ თავს—რას ეხავდივართ? რა ხდება ჩვენ გარშემო? სად მივდივართ? რატომ არ ვგრძნობთ და არ ვხედავთ რა უფსკრულში, რა უძრო და ჯოჯოხეთისავით ბნელ ღრანტე-ხევში ვიჩეხებით და ვიმსხვრევით? ამგვარ გზა-აბნეულობაში, ამისთანა განსაცდელისა და გაჭირვების დროს

თავდადებული და ერთგული მწყემსი ჩვეულებრივ წინ გადუდგება ხოლმე სამწყსოს თავისი გრძელი და საკმაოდ მძიმე ჯოხით. იგი ამ ჯოხის დახმარებით და თავისი მაღალი ხმაურობით მეცადინობს რაც ძალი და ღონე აქვს, რომ გადაარჩინოს გზა-ცდომილი და გონება დაბნეული ცხოვარი კლდეზე გადავარდნას, დანსხვრევას და აუცილებელ სიკვდილს.

სწორედ მსგავსიც საქციელი გვმართებს ჩვენც, სიტყვიერ ცხოვართა მწყემსებს, რათა შევაჩეროთ ჩვენდა ჩაბარებული სამწყსოს ის სწრაფი, წინდაუხედავი და მატარებელისავით გაქანებული მოძრაობა და ლტოლვილება უბედურობის უფსკრულისადმი, რომელსაც შედეგად მოსდევს ცხოვრებაში შვილთაგან მშობლების სიკვდილი, ძმისაგან ძმის განუკითხაობა, მეზობლისაგან მეზობლის დამხობა, ქრისტენისაგან ეკკლესიის შეგინება-შებილწევა, მრავალგვარი და მრავალი სახის საზიზლრობა-უპატიოსნება. მაცხონებელი და გონება მომყვნი ჯოხი, რომლითაც ამ შემთხვევაში უნდა ვიყვნეთ აღჭურვილნი, არის სიტუაციისა, სწავლა სასარებისა, ქადაგება, გაფრცელება, თქსვა სამწესოში ქრისტეს სწავლისა.

მაგრამ, ვაი რომ ჩვენ, სულიერნი მწყემსი, არა ვართ მუდამ შესაფერისად აღჭურვილნი იმ საღმრთო იარაღით! ვაი რომ ვთესავთ, ვავრცელებთ თქვენ შორის და ვქადაგებთ ღვთის სიტყვას რიდობით (ბ. კორინთ. 9, 6), ე. ი. იშვიათად, ძვირად, ნაკლებად, ხელ მოჭერით! ვაი რომ სახარების ქადაგებაში ჩვენი ხმა არის უფსკრული, უღლონო, სუსტი და არა ხმა ღია და ვითარდა საკვირისა (გამოცხ. 1, 10). რა თქმა უნდა, სულ სხვა გვარი, სხვა მიმართულებისა იქნებოდა თქვენი ცხოვრება, თქვენი საქციელი, თქვენი ზნეობა, ყველა მწყემსი რომ ნათლად ესმოდეს თავისი საღმრთო მოვალეობა და თავდაუზოგავად ასრულებდეს მას. გარნა არასოდეს არ ყოფილა და არც ეხლაა, რომ რაოდენიმე კეთილი მწყემსი აღარ იპოვბოდეს, აღარსად ისმოდეს მათი ხმა. არა, ეხლაც მოიპოვებიან კეთილნი და სამწყსოს მოსიყვარულე მწყემსი, ეხლაც ბევრგან გაისმის მათი სიტყვა და თუ მათ ბევრი ვერა გაურიებიათ რა, ეს უნდა მთლად მიეწეროს სულიერ ცხოვართა გულის სიბრძეს (ეფ. 4, 18), უნდა აიხსნას იმითი, რომ ეკკლესიის სწავლას დღეს ერთ გურითა მძიმედ ისმენს (საქ. მოც. 28, 27). ხომ მომ

ხდარა, რომ თავდადებული მწყემსის ხმა ვერ შეეგნოს დამტოხვალ საქონელს, ფეხთ ქვეშ ჩაეგდოს თავისი კეთილის მყოფი, გაექელოს, გადევლოს ზედ და მერმე თითონ მთლად შთანთქმულიყოს უფსკრულში!

სმენა, სმენა ღვთის სიტყვისა, ი რა გვაკლია ყველას. დედა ჩემი და მმანი ჩემნი ესე არიან, რომელთა სიტყვა ღვთისა ისმინთ (ლუკ. 8, 21), ბრძანა მაცხოვარმა და რა ერთობა, რა დამოკიდულობა, რა კავშირი და ნათესაობა გვექნება ქრისტესთან და ქრისტეს ჩვენთან, როდესაც არა გვაქვს მისი სიტყვის სმენა! ნეტარ არიან, რომელთა ისმინთ სიტყვა ღმრთისა და დაიმარხონ იგით (ლუკ. 11, 28), ბრძანებს იგივე მაცხოვარი და რაღა გასაკვირველია, რომ ჩვენი ცხოვრება მოკლებულია ყოველ ჭეშმარიტ ნეტარებას და შვებას, რადგანაც აღარაა ჩვენში ღვთის სიტყვის სმენა და გაგონება. თესლი იგი არს სიტყვა ღმრთისათ (ლუკ. 8, 11), შემოგვესმა დღევანდელ საღმრთო წირვაზედ წაკითხული სახარებიდან, უთესლოდ წარმოუდგენელია ყანა, უყანოდ შეუძლებელია კაცის კვება-საზრდოება. თუ კაცის გული არ იქმნა გაზაფხულზე (სიყმაწვილეშვე) უხვი მარჯვენით დათესილი ღვთის სიტყვის, აშკარაა ზაფხულში (სრული წლოვანების დროს) იგი არ დააჯილდოებს პატრონს უხვი სამკალით და არც თავ გამოსაკვებ ხვაგს აალებინებს კალოდან, ე. ი. ღვთის სიტყვის სმენას მოკლებული კაცის ცხოვრება, მოკლებული იქნება ყოველთვის პატიოსნებას, ჭეშმარიტ სვინიდისისანობას, საღმრთო ლმობიერებას და კაცთ მოყვარებას. კაცის გული, დატოვებული ღვთის სიტყვის მუდმივი სმენის გავლენის გარეშე, ემსგავსება თავმინებებულ მინდოოს, რომელსაც სისწრაფით ედება და იქვრს ეკალ-ნარი, ქაც-ბარდი და შებბ-ძეძვი. ძნელი, მოუხერხებელი და აუტანელია ასეთი გულის პატრონთან, ამ გვარი სულის კაცთან ცხოვრება და მეზობლობა. იგი ზნეობრივ შეაწესებს ყველას და ეკალსავით დაესობა, დაუწყლავს და დაუკოლავს სუსყველას გულს, ქაცვისავით წამოედება უველას, ვინც კი მას გაუვლის გვერდით და აუცილებლად შემთაცლის ნამუსის სამოსელს, მსგავსად ძეგვისა შეავიწროებს მეზობლებს და მწარედ ამოხდის მათ სულს.

ი სად იფარება მთავარი შიზეზი ჩვენი ცხოვრების შერყევისა. ი სათაური იმ ზნე ბივი სნეუ-


ლებისა, რომლის გამო მმა მმას იმეტებს სასიკვდილოდ, მამა ჰალატობს შეილებს და შვერლებიან-აღსდეგბინ მამა-დედათა ზედა.

სასურველი და ძვირფასია, მსმენელნო, ჩვენი ეხლანდელი გონებითი გამოფხიზლება, მეტად საქებური და სასახლოა ჩვენ შორის ღძრული შისწრაფება სწავლა-განათლებისადმი, ღიღად სასიკეთოა ჩვენი ღროის აღფროოვანებული და ცხოველი ხალისა მწიფნობრობისა, მაგრამ ამასთან ერთად ღიღი და პატარა ღარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწავლა, გამოცდილება, მწიფნობრობა და გონების ვარჯიშობა თავის თავად, მარტოდ მარტო აღებულნი, ვერასოდეს ვერ დაამშვიდებენ ჩვენ ცხოვრებას, ვერასოდეს ვერ გაგვინათებენ ბნელი ცხოვრების გზას ჭეშმარიტი ნათელით, ვერასოდეს ვერ შეგვისუბუქებენ იმ აუტანელი ტვირთის სიმძიმეს, რომლისა ჰვეშე მწარედ გმინავს და სტირის კაცობრიობა, თუ მეცნიერებას საფუძვლად არ ექმნა დაღებული ღვთის სიტყვა, თუ კაცის გონების განვითარება არ აეგო მთლად ღვთის შიშედ, თუ მისს გამოცდილებას თავკიდურ ლოდად არ დაედა შენება და მოძღვრება იმისი, რომელმანც ბრძანა: მე ვარ გზა, და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრებათ (იოან. 14, 6).

მაშ მუდამ მზად ვიყვნეთ, ძვირფასინო მსმენელნო, ღვთის სიტყვის სასმენად; ღია ვიქონიოთ მუდამ გულის კარი ღვთის ხმისათვის და გვრწამდეს, რომ თვითეული სიტყვა ღვთისა, ჩათესილი გულის სილრმეში, უეპველად შეიქმნება ღალანა ჯვალად, რომელიც თავის დროზედ დაგვირგვინდება ყოველი ბედნიერების, ყოველი სიკეთის და ღვთის კურთხევის მაძლარი თავთავით.

რომელთა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! ამინ.

ეპისკოპოზი ლეონიდი



დმურთო ამრავლე ამისთანა მასწავლებელნი  
ჩვენში!

ამ 1901—1902 სამოსწავლო წლის დამდეგს ჩვენი ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ქ. ანასტასია ვასილის ასული ლომინაძე, რომელმაც ოქტომბერით გაათავა გიმნაზია და რომელიც მამასთან ერთად (მამა იყო ხაზინადრიად ახალ სენაკში) ჩამოვიდა სენაკში.

ხსნებული სამრ. სკოლა გაიხსნა ახალ-სენაკში 1897 წ., ბლალინის მღვდლის მ. ა. კალანდარიშვილის თაოსნობით. თუმცა ამ სკოლას, როგორც ახლად გახსნილს, ჯერ არა ებადა რა, არც ფულად, არც ავეჯად და არც საჭირო ნივთები ჰქონდა, მაგრამ ყველა ამეებს არ შეუშინდა ახალ-გაზრდა მასწავლებელი ქ-ნი ანასტასია და თავისს თანამდებობას დიდის ენერგიით ჩაჭირდა ხელი და სწავლის საქმეც სულ მცირე ხანში სამაგალითო ნიადაგზე დააყენა, რის გამოც აუარებელი მოწაფეები მიაწყდა ზემოხსნებულ სკოლას. თითქმის ნახევარზე მეტმა მოწაფემ დაანება თავი აქაურს სამინისტრო საქალები სკოლას და სამრევლო სკოლისკენ მიაშურა. ამ ამბავა ძლიერ ჩააფიქრა სამინისტრო სკოლის მმართველობა და რომ სკოლა არ დაცალიერებულიყო, სწავლის ფული 10 მანეთიდან 6 მანეთზე ჩამოიყენეს; მაგრამ ვერც ამან უშველა მათ და ბოლოს სულ მოსპეს სწავლის ფული. როცა ბავშვების წასვლა ამითაც ვერ შეაჩერეს, მაშინ ამ სამინისტრო სკოლაში, სადაც ლევიცკის მუნჯური მეთოდით ასწავლიან, ქართული ენის სწავლებაც კი შემოილეს.

რაღვანაც ახალ დაარსებულ სკოლაში ბევრი ბავშვი მოგროვდა, სწავლის ფულიც (6 მან. წელი-წილში) საქმაოდ შემოვიდა; შემოსული ფულებით სკოლამ შეიძინა საჭირო ნივთები, ასე რომ, რამოდენიმე ხნის განმავლობაში სკოლას სკოლის ფერი დაედო. მაგრამ მასწავლებელი ქალი ამას არ დასჯერდა, მისი დიადი სურვილი და ნატვრა იყო, რომ სკოლას საკუთარი შენობაც ჰქონდა. და ამ მიზნის მისაღწევად იგი არავითარ შრომას არ გაურჩოდა. სკოლის მზრუნველის—კნეინა ანნა გრიგოლის ასულის მხეიძის და ქ-ნი ეკატირინა ბესა-

რიონის ასული მოსიძის და სხვათა შემწყობით, და ახალ-სენაკში ხშირად იმართებოდა ხოლო წარმო-დგენები, კონცერტები; საცეკვაო სალამოები სენა-კის საქალებო სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. შემოსული ფული მასწავლებელს სრულად ხაზინაში შეტქონდა და ამნირად უყრიდა თავს შენობის ასა-გებ ფულებს. ქ-ნ ანასტასია ლომინაძის დაუღალავი ენერგიის და შრომის წყალობით დღეს სკოლას აქვს 1200 მანეთამდე.

ანასტასია ლომინაძემ თუ დიდი შრომა-მზრუნ-ველობა გასწია სკოლის კეთილდღეობისათვის ნივ-თიერის მხრით, მან, როგორც მასწავლებელმაც, თითქმის შეუდარებელი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. ჩვენ თვითონ გიყავით მოწამე იმ გულის ამატოკე-ბელ გამოთხვების წამისა მოწაფეებთან, რის მსგავ-საც, ჩვენის აზრით, ძვირად თუ შეხვდება კაცი დღევანდელს ცივსა და გაყინულს დროში. აქ ჩვენ დღოვებით დავსძებთ კალამს და ამ წიმის გამოსახა-ტავად, ვალაპარაკებთ ერთს პატარა, მეორე კლა-სის მოწაფე ქალს, რომელმაც საყვარელ მასწავლე-ბელს შემდევის სიტყვებით მიმართა:

„ძვირფასო და საყვარელო მასწავლებელო ბატ-ტასო! დადგა უკანასკნელი საათი, როდესაც თქვენ, — ჩვენო საყვარელო და ძვირ-ფასო ტასო, უნდა დასტოვოთ ეს სკოლა, მოწაფე ქალები ამა სკო-ლისა, სუყველანი თქვენის ხელით აღზრდილნი, რომლების აღზრდა-განათლებისათვის ვინ იცის რამ-დენი გიშრომიათ, რამდენი ოფლი დაგილვრიათ ამ თხი წლის განმავლობაში. თხი წელი სრუ-ლიად საქმაო იყო, რომ ჩვენ—თქვენს უმცროსს დებს, გავეგო და დაგვეფასებია თქვენი ჩვენდამო ლვაწლი, შრომა და სიყვარული და, ამ სიყვარუ-ლისა გამო ჩვენც სიყვარულითვე გვებასუნა. გარნა რომელი სკოლა, რომელი მოსწავლე არ შეიყვარებს, არ გააღმერობებს ისეთ მასწავლებელს, როგორიც იყავით თქვენ, რომელიც თავისს ნიჭიერებით, ენა წყლიანობით გვიშსუბუქებდით სწავლის მძიმე უღელს და ჭიუა სინდისს გვინათლებდით; ამიტომ იყო, რომ ჩვენ სკოლაში წასვლა კი არ გვეზრებოდა, არამედ გვიხარიდა, სულით და გულით იქითკენ მივისწრაფოდით, რაღვანაც იქ გვეგულებოდა კე-თილის გულის და ხასიათის მასწავლებელი, საყვა-რელი ჩვენი ტასო. ის, ყველა ამას ვერძნობთ, ვა-ფასებთ ჩვენ და იმიტომ არის რომ ასეთი სასარგებ-

ლო მასწავლებლის მოშორებას ასე ვსტირით და ცხარე ცრემლებს ვღვრით.


გთხოვთ, უძვირფასესო მასწავლებელობ ბ. ტასო, გვაპატიოთ, რაც შეგცოდეთ, გაწყენიეთ ამ ოთხი წლის განმავლობაში, ამასთან იმედი გვაქვს უკელა ჩვენ მოწაფეებს, არ დაგვიგრწყებთ და ოქვენის ნახვით გაგვაძედნიერებთ. ჩვენ კი სიკვდილამდე გვეყვარები, გვეხსომები და აი ნიშნად ამა სიყვარულისა და სსოფნისა გიძლვნით ამ ხატს ღვთის მშობლისას, რომლის წილ-ხდომილია ჩვენი ქვეყანა და წმიდის გულით ვსთხოვთ მას, რათა იგი იყოს ოქვენი მფარველი და შემწევ ყოველ თქვენს კეთილ საქმეში”.

ბავშვს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გათავებული ეს სიტყვები, რომ მოსწავლე ქალებში ჩუმი ქვითინი მოისმა, რომელიც მალე ხმა-მაღალ ტირილად და მოთქმად გადაიქცა. ამ ქვითის ბანი მისცა თვით


მასწავლებელმაც და შეიქმნა ისეთი ამბავი, რომ სუსკველა იქ დამსწრე გარეშე პირებიც უნტბლიერ ცრემლდენ და ამბობდნენ: „ნეტაი იმაგავშვებს, რომელთაც ასეთი მასწავლებელი ჰყავთ, და ნეტაი იმ მასწავლებელსაც რომელიც ასრე უსაზღვროდ შეყვარებია მოწაფეებსო“.

დასასრულ, გრძნობით სავსე სიტყვით მიმართა მასწავლებელს — ა. ლომინაძეს სკოლის გამგემ ბლალოჩინმა კალანდარიშვილმა, რითაც მოკლედ იღნიშნა პედაგოგიური ნიჭი, შრომა და თავ-დადებულობა ამ ქალისა საყვარელს ასპარეზზე და დიდი მაღლობაც შესწირა მას გასაკვირი არ არის, რომ ასეთი საყვარელი და სასარგებლო მასწავლებელი სენაკის საზოგადოებამაც ღირსეულად და ჯეროვან დათვასა და, დიდი პატივიც სცა მას...

ბ. ბერიძე.



ისტორიკული დამიტრი ბაქრაძე.



მართლმადიდებლადით — ქრისტეანებიდან სამართლებით სასოგადოებითის დაცის მსახურების განშარტება.

გაგრძელება \*)

შემოსილი მღვდელი დადგება წმ. ტრაპეზის წინ; მას ხელში სასაკმევლე, ანუ საცეცხლური უჭირავს. მთავარ-დიაკონი კანკელის შუათანა, აღსავლის ანუ სამეუფო კარებიდან კრეტსაბმელს გარდაცხნის, გააღდეს თვით ამ აღსავლის კარებს, ამბორნზე დადგება და იტყვის: აღსდეგით. უფალო! გვაკურთხენ. პირველ სიტყვით მთავარ-დიაკონი ეკლესიაში მყოფ ხალხს ღვთისმსახურების დაწყებას აუწყებს და ეუბნება, რომ სალოცავად მოემზადოს; და თუ ვინზე მლოცავთაგანი ამ დროს ზის, ფეხზე უნდა წამოდგეს. ხოლო სიტყვებით: უფალო! გვაკურთხენ — გამოითხოვება ღვთისაგან კურთხევა წმ. საქმის შედგომისთვის — ღვთისმსახურების აღსრულებისთვის, თვის გონებისა და გულის აღპყრობისთვის ღვთისადმი მლოცველთა მიერ. შემდგომ მღვდელი იტყვის: დიდება წმიდასა და თანაარსსა და ცხოველსმყოფელსა და განუყოფელსა სამებასა, ყვალადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, — და თან ტრაპეზის წინაშე საცეცხლურით ჯვარის სახეს გამოხატავს. მღვდელი ამ წარმოთქმით ჩვენს ყურადღებას წმ. სამებისადმი მიჰმართავს და მის სადიდებლად მოგვიწოდებს.

ღმერთი არის შემოქმედი ცათა და ქვეყანისა; მან მათშინა ხაუცხოვო დაურღვეველა წესიერება

დაამყარა; მან ადამიანი სხვა-და-სხვა ლირსებგბით შეამკო და სხვათა ქმნილებათა წინაშე უპირობესობა მისცა; იგი მსოფლიოს თვის ხელში, თვის ძალაში იპყრობს, იგი განაგებს და მზრუნველობს მასზე; მან კაცობრიობას თვისი ნათელი მოპოვინა: როცა ღვთის მფარველობას მოკლებული, ნეტარების ერთად ერთ წყაროს განშორებული კაცობრიობა თვისის ძალით ამაოდ ეძიებდა ნავთ-საყუდელსა — კეშმარიტებასა და ბედნიერებას, როცა ამის გამო მას მწუხარება და წვალება დღითი დღე ემატებოდა, და იგი ბიწიერებით უფრო და უფრო წყლულდებოდა და სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, — მაშინ უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ზეცით სოფლიად მოვიდა; მან ცლომილი კაცი ნამდვილს, ღვთისადმი მიმყვანელ გზაზე დააყენა, უჩვენა მას, თუ როგორ შეუძლია მას სასურველ ბედნიერებას მიაღწიოს; ამმიერიდგან ადამიანს მიეცა საშუალება იხსნას თვისი თავი ცოლვისაგან და მასგან წარმომდინარე ტანჯვისაგან და შეიმოსოს სათნოებითა და მოიპოლოს შეუწყვეტელი მშვიდობა და სიხარული. ვინც მაცხოვრის სწავლას მიღებს, და იწყებს თვის მნებელობის მიღრებას კეთილისადმი, თვისით სულიერ ძალთა განმტკიცებას მის მიერ დასურათხა ტებულ ცხოვრებაში, მასზე გადმოვა სული წმიდა, რომელიც მას თვის ცხოველ-მყოფელს მაღლს მინიჭებს, სანეტარო გრძნობებით აღავსებს და უფრო და უფრო აღამაღლებს ღვთისადმი.

ამნაირად წმ. სამება, ე. ი. ერთი ღმერთი, სამებირვანი ანუ სამგვამოვანი, მამა, ძე და სული წმიდა, არის მიზეზი მსოფლიოს არსებობისა, კერძოდ, ადამიანის ცხოვნებისა, ე. ი. ბიწიერებითის და სამწუხარო მღვდელმარებიდან გამოყვანისა და კეთილ-მოცულ, საბედნიერო მღვდელმარებიდაში მიყვანებისა; ამის გამო, ჩვენ გვმართებს ვაჭით წმიდა სამება იმ წესიერებისა და შვენიერებისათვის, რომელიც ბუნებაში სუფეს და რომლის ჭვრეტით ჩვენ ვსიამოვნობა, უნეტარებთ; განსაკუთრებით, უნდა ვაღიდებდეთ მას ჩვენის განწმელისა და განათლებისთვის.

\*) იხ. „მწერები“ № 19. 1901 წ.

წმ. ეკკლესია გვიხმობს რა სადიდებელად ღვთისა, ქვეყნის შემოქმედისა და კაცობრიობისთვის საუკუნო ბედნიერებითის ცხოვრების მომმაღლებელისა,—თვალწინ გვიყენებს წმ. სამებას მისთვის, რომ ქვეყნის შექმნაში და ჩვენის ცხოვრების საქმეში მონაწილეობა მიიღეს სამთავე პირთა: მამამ, ძემ და სულმა წმიდამ. რომ ქვეყანა სამთა პირთა შეერთებულის ძალით შექმნა, ეს სჩანს საღმთო წერილის შემდეგის მოწმობებიდან: ა) მამა ღმერთმა ჰქმნა ყოველივე: ჩვენდა ერთარს ღმერთი მამა, რომლისაგან არს ყოველი, და ჩვენ მისა მიმართ (1 კორინთ. 8, 6); ბ) ძე ღვთისამ ჰქმნა ყოველი: მის მიერ დაიბადა ყოველივე ცათა შინა და ქვეყანასა ზედა (კოლოს. 1, 16); გ) სულმა წმიდამ ჰქმნა ადამიანი: სული წმიდა შემოქმედი ჩემი (ამბობს მართალი იობი (იობ. 33, 4)). აგრედვე სამივე წმ. პირებმა კაცობრიობის ცხოვრების საქმეშიდაც მონაწილეობა მიიღეს. მამა ღმერთმა შეგვიყვარა და გვაცხოვნა ჩვენ, განგვაახლა ზედმოქმედებითა სულისა წმიდისათა, რომელიც მოგვევლინა მეოხებითა იესო ქრისტესისათა, ძისა ღვთისათა: რა უამს სიტყბოება და კაცო-მოყვარება გამოსჩნდა მაცხოვრისა ჩვენისა ღვთისა... მიხსნა ჩვენ ბანვითა მით მეორედ შობისათა, განახლებითა სულისა წმიდისათა, რომელი იგი მოფინა ჩვენზედა მდიდრად იესო ქრისტეს მიერთ (ტიტ. 3, 4—6). კერძოდ, პირველი პირი, მამა ღმერთი არის წყარო ჩვენის განწმედისა; მან კაცობრიობის სახსნელად გამოგზავნა თვისი ძე: ესრედ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მოსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა პრემენეს იგი, არა წარმოწყმდეს, არამედ აქვნდეს ცხოვრება საუკუნო (იოან. 3, 16); მეორე პირი, იესო ქრისტე, ძე ღვთისა არის პირდაპირი მიზეზი ჩვენის ცხოვნებისა. იგი ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, განკაცნა, ჰქადაგებდა, ივნო, დაეფვლა, აღსდგა მესამესა დღესა და ამაღლლა ზეცად. ნუგეშინისმცემელი გვივის მამისა მიმართ ქრისტე იესო, მართალი, და იგი არს მომტევებელი ცოდვათა ჩვენთა, და არა ხოლო ცოდვათა ჩვენთა, არამედ ყოვლისა სოფლისა (1 იოან. 2, 2); მესამე პირი, სული წმიდა არის აღმსრულებელი ჩვენის განწმედისა; იგი მუდამ იმყოფება წმ. ეკკლესიაში: მე ვჰკათხო მამასა ჩემსა, და სხვა ნუგეშინისმცემელი მოგივლინოს თქვენ, რათა

თქვენთანა ღააღგრეს უკუნისამდე (იოან. 14, 16). და ასწავებს კაცთა ჭეშმარიტებასა: ოდეს მოგიდეს სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძლოდეს თქვენ ჭეშმარიტებასა ყოველსა (იოან. 16, 13); იგი სუფევს ქრისტეანები და აცხოველსმყოფელებს მას: არა უწყითა, რამეთუ ხორცი ეგე თქვენნი, ტაძარი თქვენ შორის სულისა წმიდისანი არიან (6, 19—1 კორინთ.); ეხმარება სუსტ კაცს: სულიცა იგი თანა შეეწევის უძლურებათა ჩვენთა (რომაელ. 8, 26); იგი წარმოშობს ჩვენს სულში წმიდათა განწყობილებათა: ნაყოფი სულისა არს: სიყარული, სიხარული, მშვიდობა (გადატ. 5, 22),

ამგვარად წმ. ეკკლესია იხსენიებს წმ. სამების პირთა მისთვის, რომ მათ ერთობრივის მოქმედებით შექმნეს ქვეყანა და კაცს ცხოვნება მოანიჭეს. აქ საჭიროდ ვრაცხო მოკლედ გავიხსენოთ ეკკლესიური სწავლა წმ. სამებაზე.

სამი პირი: მამა, ძე და სულიწმიდა შეადგენს ერთს ღმერთს. ღმერთი, როგორც უსაზღვრო, უურულესი არსება, ერთია; ორი ანუ რაოდენიმე უსაზღვრო არსება წარმოუდგენელია; რაოდენიმე ღმერთი რომ იყოს, მაშინ ისინი ერთი მეორეს შეზღუდავდენ, შემოსაზღვრავდენ, და არც ერთიც არ იქნებოდა ღმერთი—უსაზღვრო არსება. ღმერთი ერთია, ამსა მოწმობს საღმთო წერილი: ისმინე, ისრაილ! უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს (მარკ. 12, 29), არავინა არს ღმერთი სხვა, გარნა მხოლოდ იგი ერთი ღმერთი (1 კორინთ. 8, 4). ამ ერთ ღვთაებაში სამი პირი ანუ გვამია: მამა, ძე და სული წმიდა; ეს სჩანს საღმთო წერილის შემდეგის ადგილებიდან: წარვედით და მოიმო წაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს ჰსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდათა (მათესი 28, 19); სამნი არიან, რომელნი სწამებენ ცათაშინა: მამა, სიტყვა (ძე ღვთისა) და სული წმიდა, ესენი სამნი ერთნი არიან (1 იოან. 5, 8); მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღვთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა თქვენ ყოველთა თანა (2 კორინთ. 13, 13); ნუგეშინის მცემელი იგი სული წმიდა (მესამე პირი), რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა (მეორე პირი) მამამა (პირველი პირი), მან გასწავლის თქვენ ყოველი და მოგახსენოს თქვენ ყოველივე, რაოდენი გარეუ თქვენ—სთქვა მაცხოვარმა (იოან. 14, 26)

და სხვა ადგილებიდან, საღაც თვითეულ პირს ცალკა მიეწერება ცოდნა, მნებელობა, მოქმედება. თვითეული პირი წ. სამებისა არის ღმერთი; მამა არის ღმერთი, ხე არის ღმერთი, სული წმიდა არის ღმერთი. საღმთო წერილში იწოდებიან ღმერთად: პირველი პირი—მამა: ღმერთი და მამა უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტესი (2 კორინთ. 1, 3); იქსომ სთქვა: მამაო! მოიწია უამი ჩემი, აღიდე ხე შენი... და ეს არს ცხოვრება საუკუნო, რათა გიცოდენ შენ მხოლო კეშმარიტი ღმერთი, და რომელი მოავლინე ქრისტე იქსო (იოან. 17, 1—3); მეორე პირი, ხე; ვიცით, რამეთუ ხე ღვთისა მოვიდა და მომცა ჩვენ ნათელი და გონება, რათა ვიცოდეთ ჩვენ კეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩვენ კეშმარიტისათანა ძისა მისისა იქსო ქრისტესა: ეს არს კეშმარიტი ღმერთი და ცხოვრება საუკუნო (1 იოან. ჩ, 20); მესამე პირი, სული წმიდა: ანანია! რაისათვის ალავსო გული შენი ეშმაქმან ცრუებად სულისა წმიდისა... არა ეცრულ შენ კაცთა, არამედ ღმერთსა (საქმე მოციქ. ჩ, 3—4). რომ ხე არის ღმერთი და სული წმიდა არის ღმერთი, ეს მტკაცდება კიდევ საღმთო წერილის — იმ ადგილებით, სადაც მათ მიეწერება ღვთაებრივი თვისებები: დაუსაბამობა — დაუსრულებლობა, თვითმყოფობა — დამოუკიდებლობა, ყოველგან მყოფობა, ყოვლის ცოდნა, ყოვლის შემძლებლობა და ღვთაებრივი დიდება.

ღვთაებაში სამი პირია: მამა, ხე და სული წმიდა, და მამა არის ღმერთი, ხე არის ღმერთი, სული წმიდა არის ღმერთი; მაგრამ ეს სამი გვამი სამი ცალ-ცალკე ღმერთი კი არ არის, არამედ ერთი ღმერთია; ისინი ღვთაებრივი თვისებათა — სისრულეთა განუყოფლად იპყრობენ; მათ ქვეთ ერთი არსება — ბუნება, ერთი ღმერთობა, ერთი მნებელობა, ერთი ძალა, უფლება, სიდიდა, დიდება, სამნი არან, რომელი სწამებენ კაცთა შინა: მამა, სიტყვა (ძე) და სული წმიდა, ეს სამნი ერთნი არიან. (1 იოან. ჩ, 8). მათი სხვა-და-სხვაობა წარმოსდგება არა სხვა-და-სხვაობისაგან ღვთაებრივთ თვისებათა, არამედ პიროვნულ თვისებათა განრჩევისა გამო. ხოლო პიროვნულ თვისებათა განრჩევა მდგომარეობს იმაში, რომ მამა ღმერთი არის დაუსაბამო არსება, ხე ღვთისა საუკუნოდ იშვა მამისაგან, და სული წლიდა საუკუნიდგანვე გამოვალს მამისაგან. საღმთო წე-

რილში იწერება პირველი პირი მამად, იგი აძლევს არსებობას მეორე პირსა: რამეთუ ვითარცა იგი მამისა აქვს ცხოვრება თვისა თვისისათანა, ეგრეუა ძესა მოსცა, რათა აქენდეს ცხოვრება თავისა თვისისათანა (იოან. 5, 26), მეორე პირი იქსო ქრისტე არის მხოლოდ შობილი პირველის პირველის პირისა, მამისა: რამეთუ ესრეთ შეიყვარა ღმერთმან (მამამან) სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მისცა მას (იოან. 3, 16); მესამე პირი, სული წმიდა გამოვალს მამისაგან: რაუამს მოვიდეს ნუგეშინისმცემელი იგი, რომელი მოვავლინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ, სული კეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან ჰერამოს ჩემთვის (იოან. 15, 26).

ექ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ როგორ შეიცავს თვის შორის ერთი ღმერთი სამ პირსა, თუ როგორ შეაღვენენ ერთ ღვთაებას მამა, ხე და სული წმიდა, თუ როგორ იშვა ხე ღმერთი მამისაგან — ღმერთისაგან, თუ როგორ გამოვალს სული წმიდა ღმერთი მამისაგან — ღმერთისაგან, და საერთოდ, თუ როგორია არსება ღვთაებისა და რაში გამოიხატება მისი ცხოვრება, — ამაების სავსებით გაგება ადამიანისთვის შეუძლებელია, ეს კაცისთვის დაუარული საიდუმლოებაა, და ამის მიწოდომა მას არძალუას. ეს ასეც უნდა იყვეს. ღვთაებას რომ სისრულით მიწვდეს კაცი, განა ის მაშინ ღვთაება იქნება? უსაზღვრო, უუღიადეს არსებას სუსტი, შემოსაზღვრული არსება რომ მისწვდეს, მაშინ პირველი ხომ დაკარგავს თვისს არსებით თვისებას — უსაზღვრობას? როგორც ყვაწვილს არ შეუძლია ნათლად წარმოიდგინოს ხნიერის კაცის ცხოვრება, მისი შინაგანი სამყარო, მისი ჰაზრები, გრძნობები, ლტოლვილებები, მისის სულის-კვეთა, — აგრევა ადამიანისთვისაც შეუძლებელია ღვთაების ზედმი-წევნით მიხდომა. თუმცა წმ. სამებაზე სწავლა კაცის გონებასთვის მიუწოდომელია, გარნა მან იგი უმტკიცესის რწმენით უნდა მიიღოს, მისთვის, რომ იგი გვაუწყა ჩვენ თვით უფალმა იქსო ქრისტემ, რომელიც არის უუსრულესი კეშმარიტება, და რომელიც, რასაკვირველია, არა ნამდვილ ცნობას ღმერთზე რა მოგვცემდა; და ქავე სწავლა წმ. სამებაზე განიმეოდეს და გაავრცელეს მაცხოვის მოციქულებმა, რომელიც, როგორც განწმედილი, ღმერთთან სულიერად დაკავშირებული და სულით წმიდით

ხელმძღვანებულნი, შეცდომაში თვითონაც არ შევიდოდნენ და შემცდარ, ცრუ აზრებს სხვებსაც არ გადასცემდნენ. თუ ნასწავლთა უმრავლესობა სხვა-და-სხვა გვარ ცნობებს მსოფლიოს შესახებ რწმენით ითვისებს, ე. ი. თუ იგი თვითონ კი არ იძიებს ამა თუ იმ საგანთა და მოვლენათა, თვითონ კი არ იკვლევს, თუ რა არის და რა ხდება სამყაროში, დედამიწაზე, დედამიწის სილრმეში, ადამიანის ასე-ბაში, არამედ უსმენს მეცნიერებს, რომლების რიც-ხვი მცირეა, იჯერებს მათ ნათქვამს, იმეორებს მათ-გან გაგონილს და დარწმუნებულია მის სინამდვი-ლეში; რისთვის რწმენითავე არ უნდა მივიღოთ სწავლა წმ. სამებაზე, თუმცა ეს სწავლა ჩვენ ჩვენის გონების მოქმედებით არ გამოგვიკვლევია, არ მივწ-ლომილგართ გას? მართალია, სწავლულ კაცს, თუ მას ძალა შესწევს, გონება უჭრის, თუ იგი შრომას გასწევს<sup>1</sup> შეუძლია შეამოწმოს მეცნიერთა ნათქვამი, შეუძლია თვითონვე, თვრისისავე სულიერთ ძალთა მოქმედებით, გაიგოს, გამოიკვლიოს, თუ რა სუფევს და რა წარმოებს მის გარშემო, მას შეუძლია თვი-თონვე დაიაროს შორეული ქვეყნები, გაიცნოს უცხო ხალხნი, მას შეუძლია თვითონვე ჩაუკავირდეს ბუნებას, შეისწავლოს მისი მოვლენანი და კანონ-ნი და სხვა; — მაგრამ აგრელვეც შეუძლია კაცს თვი-თონვე გამოსკადოს და დარწმუნდეს უცომელო-ბაში სწავლისა წმ. სამების შესახებ, თუ კი გაირ-ჯება და იხმარს იმ საშუალებას, რომლითაც შესა-ლოა ხენგბულ სწავლის სინამდვილის შეტყობა, ე. ი. თუ მოიპოებს სულის სიმაღლეს, სიშიდეს ად ცხოველს, მჭიდრო კავშირს ღმერთანა, თუ მის-ცემს აღგილს თვის ბუნებაში სულსა წმიდასა, რო-მელიც, როგორც საღმთო წერილში სწერია, გა-მოუცხადებს და ასწავებს მას ჟოველივეს (იოან. 14, 16, 26).

ამნაირად, ზემონაჩვენებ წარმოთქმით მღვდელი ეკკლესიაში მდგომ ხალხს იხმობს საღიდებელად სამებისა, რომელიც არის წმიდა, თანაარსი, ცხო-ველს მყოფელი და განუყოფელი. ერთი ღმერთი, სამიკროვანი: მამა, ძე და სული წმიდა; მას არავითარი ბიწიერება, არავითარი ნაკლულევანება არ აქვს; მას ცოდვის ქმნაც არ შეუძლია; იგი ყო-ველს თვის მოქმედებაში უუმაღლეს ზნობრივ კა-ნონს სრულყოფს; მას თვისთ ქმნილებათა შინა უყვარს მხოლოდ სიკეთე და სდევნის ბოროტებასა.

ღმერთი ნათელ არს, და ბნელი არა არს მისთანა არცა ერთი (1 იოან. 1, 5); იგი წმიდა არს (1 იოან. 3, 3). წმიდა იყვენით, რამეთუ მე წმიდა ვარ (1 პეტრ. 1, 15). წმ. სამება არის თანაარსი; როგორც ზემოდ ვსთქვით, მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სუ-ლი წმიდა ღმერთი, შეაღგენენ ერთს ღმერთსა; მათ ერთი ბუნება და ერთი მყოფობა აქვთ. წმ. სამება არის ცხოველს მყოფელი; მას ყოველნი ქმნილებანი თვის ხელში უბყრია, მათზე მზრუნველობს, აძლევს მათ სიცოცხლეს, განსაკუთრებით, სულიერთ არსე-ბათა ეხმარება და ანიჭებს მათ ნეტარებით ცხოვ-რებასა. წმ. სამება არის განუყოფელი; სამნი პარნი: მამა, ძე და სული წმიდა, ერთად იმყოფებიან და ერთობრივის ძალით, თანხმობით მოქმედებენ.


გაჭიახიძე.

(უქმდები იქნება)

კურთხევა მათხოვას დედათა სავანის ახლად აგებული ეკკლესიისა 4 ნოემბერს.

„მწყემსის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ სამი წლის წინად მათხოვას დედათა სავანეში დაიწყეს ქვიტკირის ეკკლესის შენება წმიდა მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის—ნინოს სახელზე. ღვთის შეწევნით ეს ეკ-კლესია უკვე დასრულდა და ამა ნოემბრის 4-ს იგი აკურთხა მათმა მეუფებამ იმერეთის ეპისკო-პოზმა ლეონიდმა.

მათი მეუფება ქუთაისიდან წაბრძანდა მათ-ხოვაში ვ. ს ნოემბერს, დილის ცხრა საათზე. გზაში მათ მეუფებას შეხვდა ქვეითად სიარული, რადგან გუბის წყალზე ხიდთან გზა გაფუჭებული იყო და მის გაკეთებას აღმინისტრაცია სრულებით არ ეძებს. პირველ საათზე მათი მეუფება ხონში მიბრძანდა. აქ მათი მეუფება მიიპატიურა საუზმეზე ბ. დიმიტრი ჩხიკვიშვილმა. ორი საათის შემდეგ მათი მეუფება წაბრძანდა მათხოვაში და ხუთ საათზე სავანეში



შათქმავის დედათა საგანის ეკკლესია.

შიბრძანდა. სამს ნოემბერს, დღით შაბათს, მწუხრი და ღამის თვეით ცისკარი იქმნა შესრულებული ახალ ეკკლესიაში, საღაც გალობდენ სავანის დები. მეორე დღეს, ოოგორც ეკკლესის კურთხევის წესი, ისე წირვა შესრულა მათმა მეუფებამ მონასტრების და ამ სავანის ბლალოჩინის მამა არხიმანდრიტი ბესარიონისა, დეკ. დავით ღამბაშიძისა, ქუთაისის საკრებულო ეკკლესის მღვდლის ბლალოჩინის ნესტორ შვანგირაძისა და ბლალოჩინის ე. მაჭარაძის თანამსახურებით. წირვაზე გალობდენ სავანის დები და მათი მეუფების შეალობლები. წირვის ღასრულების შემდეგ მათმა მეუფებამ წარმოსთქვა მგრძნობიერი სიტყვა. სიტყვაში მათმა მეუფებამ პირველად აღნიშნა ის სიხარული და ის სიამოვნება, რომელიც აღიძრება ყოველ კეშმარიტს ქრისტიანებს გულში, როცა იგი შენიშნავს და ხედავს, რომ საქართველოს მოემატება ღვთის სადიდებელი სახლი—ტაძარი, რომელშიც კეშმარიტი ქრისტიანები ჰპოებს სრულს კმაყოფილებას სააქაოს და მოიპოებს ნეტარებას საიქიოს. შემდეგ ყველას გასაგებად განმარტა, თუ რა დროიდან დაწესდა მონასტრები და სავა-

ნები და რა დროიდან არსებობს ბერობა და მონაზვნობა. განმარტა ბერთა და მონაზონთა განცალკევებული ცხოვრების მიზანი და მიმართულება. განმარტა ის დიდი მნიშვნელობა და სამსახური, რომელსაც ყოველს დროში იღებდა მათგან სახელმწიფო, მამული და ეკკლესია, დასურათა ცხადად ქვეყნიდან განშორებულნი პირნი, თუ ოოგორ ბრწყინავდენ ქრისტიანეთათვის და რა შუამდგომლობას უწევდენ ხალხს ღვთის წინაშე თავისი დაუცხრომელი ლოცვითა და ველრებითა. განმარტა რა დანიშნულება და მიზანი ბერობისა და მონაზონობისა, მათმა მეუფებამ, მიაქცია ყურადღება ამ სავანის დათა, თუ რამდენად უნდა იყვნენ იგინი მზად მოთმინებით აიტანონ ყოველი გაჭირვება და განსაცდელი, რომელიც ხშირად მოსდევს სოფლის განშორებიდან განცალკევებულ ცხოვრებას. ბოლოს შეაველა იგინი ღმერთს და ითხოვა, რათა უფალმა მოანიჭოს მათ მაღლი და კურთხევა თვისი, რომ ამ სავანეში ყოველი მლოცველი მიიღებდეს. სულიერ ნუგეშს და შვებასა და მას შინა მსახურთა მოეპოებით ის პატივი

და დიდება, რომლითაც ასე შესანიშნავნი იყვნენ ჩვენი მონასტრების და სავანების მოღვაწენი.

ეკკლესიის კურთხევაზე და წირვაზე დიდაბლი ხალხი დაესწრო. სამი დღე ერთი ერთმანერთზე მიყოლებით მშვენიერი ამიდი იყო. წირვის შემდეგ მათი მეუფება კრებულითურთ და საპატიო პირებით სავანის უმფროსის პარასკევა ჩხიკვიშვილისაგან სადილზე იყვნენ მიწვეულნი. საღამოს ოთხ საათზე შათი მეუფება წამობრძანდა ეტლით ხონში და, რაღგან გზა ერთ ადგილას გაფუჭებული იყო და ღამით აღარ შეიძლებოდა მოგზაურობა, ლამე გაათია დაბა ხონში და მეორე დღეს (5 ნოემბერს) ეტლით გობრძანდა ქუთაისში თერთმეტ საათზე.

ასე დამთავრდა ერთი უდიდესი საქმე მათხოვის დედათა სავანისა, — ახალი ეკკლესიის აგება და კურთხევა, სრული იმედია, რომ მათი მეუფების მფარველობის ქვეშე, ეს სავანე მოიპოვდს თავის არსებობის საშუალებასაც...

დამსწრე.

## ახალი აშპები და შენიშვნები.

\* \* \* ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა და საეპარქიო დედათა სასწავლებლის ინსპექტორმა ა. პ. ალბოვმა ავალყოფობის გამო ორსავე სასწავლებელში სამსახურს თავი დაანება. ტფილისის სას. სემინარიაში ბ. ალბოვის ადგილზე წარდგენილ იქმნა სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ბ. ა. რეავენსკი, — ხოლო საეპარქიო სასწავლებელში ინსპექტორად და რუსულის სიტყვიერების მასწავლებლად დანიშნულ იქმნა ბ. ნიკოლოზ პოლიტოვი, რომელმაც წელს დამთავრა სწავლა ყაზანის სას. აკადემიაში ღვთისმეტყველობის კანდიდატის ხარისხით. ბ-ნი პოლიტოვი, საეპარქიო დედათა სასწავლებლის წესდების თანახმად, უნდა მღვდლად ეკურთხოს.

\* \* \* იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრება არის დანიშნული პირველ დეკემბერს. ქ. ქუთაისში სასულიერო სასწავლებლების საქმეების შესახებ. სამღვდელოთა კრებებმა ამ ბოლო დროს, საზოგადოდ ყველგან და განსაკუთრებით ჩვენში, რაღაც იმედი დაუკარგა როგორც სასულიერო მთავრობას, ისე სამღვდელოებას. ხშირად კრებაზე საქმე ბოლოვდება დეპუტატების ნაცნობობით და შეუსაბამო მოქმედებით. საჭიროა, რომ ერთ-სულობით და ერთ-გულობით იმოქმედონ საქმეების გარღაწყვეტის დროს დეპუტატებმა; საჭიროა მათ ყურადღება მიაქციონ საქმის სარგებლიანობას და არა სხვა რაიმეს.

წარსულ წელშიაც ბევრი კითხვები იყო გადასაწყვეტი, რომელთაგან უმეტესი არ გადაწყვეტილა და არც კამისიები დანიშნულა ამ კითხვების გამოსარკვევად. ამასთან ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ ვიტყვით, რომ საჭიროა დეპუტატებმა შეისწავლონ კანონები და სამღვდელოების კრებათა და სასულიერო სასწავლებელთა წესდებანი არა კრების დროს, არამედ კრებამდისინ.

\* \* \* „კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 8 ნოემბრის სხდომაზე, სხვათა შორის, განიხილა კავკასიის გამოფენის კომისარის მოხსენება გამოფენის დახურვის ვადის გადადების შესახებ და, მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ თუ გამოფენა საგაისოდ აღარ იქმნა გაგრძელებული, გამშართველ კომიტეტს დიდი ზარალი მოელის, შესაძლებლად სცნო გაგრძელება გამოფენისა მომავალ 1902 წლის მაისიდან თებერვალიდან და ასე დანიშნულ იქმნება“ რასაკვირველია კარგია გამოფენის დატოვება, რომ ხალხმა ნახოს და შეისწავლოს რამე, მაგრამ მოთამაშე ქალები ეყოლება გამოფენის გამგე პირთ თუ არა?..

\* \* \* 7 ნოემბერს ღამით, ამიერ კავკასიის რკინის გზის მკურნალის ვოინოს სალში დილი 4 საათზე შეპარულა მასთან მზარეულად ნამყოფი სპარსეთის ქვეშევრდომი და ვოინოსთან მცხოვრები ქალი რამდენსამე ადგილას სასიკვდილოდ დაუჭრია; ყვირილზე გამოღვიძებოდა თვითოვინისან და თუმცა ღიღხანს უბრძოლნია ბოროტონიშემცდეთან, მაგრამ ვერა გაუწივია რა, რადგან: ცუიარალო ყოფილა. ბოროტონიშემცდეს ისიც დაუ-

ჭრია რამდენსამე ადგილას და შემთხვევა სადღაც გაქცეულა, მაგრამ პოლიციის დაუჭერია, როცა იგი მოსამსახურეთა ბიუროში მისულა. დაჭრილი ვორნო მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ; ხოლო ქალი გულში მძმე ჭრილობისაგან უკვე გარდაიცვალა მაშინვე. მიზეზი ბოროტ-შოქმედებისა ნამდვილი ჯერ არ იციან. ქალი ინჭინერის ცოლია, მაგრამ ქმართან არ ცხოვრებდა.

\* \* \* ტფილისის ქალაქის გამგეობამ 6 ნოემბრის სხდომაზედ გარდასწყვიტა გადადებულ იქმნეს 10,000 მან. ნავთლუდის დედათა გადამდებ სენის საავადმყოფოს შესაკეთებლად, ხოლო იმის შეკეთებამდე გაკეთდეს ახალი სადგომი, რომლისათვისაც გადაიდოს ქალაქის სამუშაო თანხიდგან 12,000 მან. და იქ გადმოიყვანონ ავადმყოფები; შემუშავდეს პროექტი ერთის დიდის შენობისა, რომელშიაც უნდა მოთავსდეს ქალთა და კაცთა განყოფილებანი; ამ შენობისათვის ქალაქს დასკირდება 80 ათას მანეთამდე. დიახ, დასაფიქრებელი საქმეა, რამდენი ხალხი ფუჭდება ზეობით და ამისათვის კიდევ ასი-ათასი მანეთი იხარჯება!..

\* \* \* კომისიამ, რომლის თავმჯდომარედ მიტროპოლიტი, ანტონია, წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს განსახილველად სრულიად შემუშავებული პროექტი მართლ-მადიდებელ სამღვდელოების საპენსიონ წესდებისა. ღმერთმან ინებოს, რომ პენსიის დანიშვნის დროს სოფლის მღვდლების გაჭირვებულ მდგომარეობისათვის ყურადღება მიექციოთ.

\* \* \* მუკლენიდგან მოსულ უკანასკნელ ცნობებით, რუსეთის ქალალდის მანეთს ჩინელები იღებენ 1 მან. 20 კ. და 1 მ. 30 კაპეიკად ვერცხლითა და ოქროთი, ხოლო ამერიკის დოლარს და ჩინეთის ფულს ფასი 20 და 30 პროცენტით აკლდება.

\* \* \* მალე შემოიღებენ ახლად შემუშავებულ რკინის გზის ტარიფს იმ შემთხვევისათვის, როდესაც მოსწავლენი რკინის გზით საღმე მიღიან ხოლმე სამოგზაუროდ. ახალის ტარიფით, თუ რომ მანძილი 300 ვერსს არ აღემატება, მოსწავლენი ჩვეულებრივის ფასის მხოლოდ მეოთხედს გარდაიხდიან.

\* \* \* საჩხერელი წერეთლები ედავებოდენ მა-მულებს მღვიმევის დედათა მონასტერს. ეს მამულები, როგორც ამბობენ, მილიონის საფასოა. ქუთაისის ოლქის სასამართლოში წერეთლებმა ეს საქმე წააგეს. წერეთლებმა ეს საქმე განასახივრებს. ეხლა, როგორც შევიტყვეთ, სუდ. პალატას 13 ამ ნოემბერს დაუკმაყოფილებია წერეთლების თხოვნა და საქმე წაუგია მღვიმევის მონასტერს.

\* \* \* მომავალის წლის იანვრიდგან გერმანელთა ახალ-შენების მცხოვრებნი უმაღლესის მთავრობის განკარგულებით ყველა იმ წესსა და კანონებს უნდა დაემორჩილნენ, რომელთაც ყველა სხვა-და-სხვა ტომის ერები ემორჩილებიან კავკა-სიაში.

\* \* \* ნეტირ ხსენებულმა გაბრიელმა უანდერძა ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელს 2500 მანეთი, რომლის სარგებელი უნდა მოხმარდეს ხსენებული სასწავლებლის ღარიბ შაგირდებს. დღემდე ამ თანხის სარგებელი შედგა 400 მანეთი, რომელიც გადაეცა ხსენებულ სასწავლებელთან მეფის დავით აღმაშენებელის სახელობაზე დაარსებული ძმობის გამგეობას.

### რედაქციისაგან.

საყოველთაოდ ვაცხადებო, რომ ვისაც დღემდე არ მიუღია ამა წლის ჩვენი გამოცემის „მწყემსი“-ს ხელის მომწერთათვის დანიშნული საჩუქრები (პრემია), ყველანი მიღებენ ამ სახუქარს მომავალს დეკემბრის თვეში.

ყველა მათ, რომელნიც გაზეთს იღებენ ზუგდიდის ფოსტიდამ, შეუძლიათ მიიღონ ხსენებული პრემია აღგილობითი წიგნის მაღაზიის მეპატრონის მანუჩარ ადამიასაგან, რომელსაც ჩვენ უკვე გადავეცით ეს პრემიები, ამ დღეებშივე გაეგზავნება ჩვენგან ბ. ადამიას სია, თუ ვის უნდა მიეცეს ეს პრემია. ამასთანავე ვთხოვთ ჩვენს გამოცემაზე ყველა ხელის მომწერთა, რომ ვისაც გაზეთს ფული ამა წლისა ჯერ კიდევ არა აქვს გამოგზავნილი, დაუჩარონ ფულების გამოგზავნას და ან ვისაც სურს გაზეთის გამოწერა, ესეც მაღე გვაცნობონ, ვინაიდგან ბანდეროლების დაბეჭვდასაც ლრო უნდა.



სწავლა და მეტოქება ქრისტიანობის სამართლებასა და კეთილ-

ზნებისაზე.

ს ი ტ ჟ ა.

თქმული 10 გიორგის სთვეს ქაშვეთის წმ. გიორგის  
ეპიფანიაში.

მოიხსენით წინამძღვარი იგი თქვენი, რომელი გეტყოდეს თქვენ სიტყვათა მათ ღმრთისათა და ხედვიდით გამოსვლასა მას ცხოვრებასა მათისა და ბაძევდით სარწმუნოებასა მათსა. (ებრ. 13. 7).

წელიწადში დღე არ არის ისეთი, რომ რომელიმე წმიდანის, მოწამის, აღმსარებელის საღიღებელად, მოსაგონებლად არ იყოს დანიშნული წმ. ეკკლესიისაგან. ყოველ ქრისტიან ხალხს და პირს ამ წმიდათაგან ამორჩეული ჰყავს რამოდენიმე, რომელთაც მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. მათ სცემენ თაყვანს, აქებენ და აღიდებენ და მათვე სთხოვენ მიიღონ შეუამდგომლობა ღვთის წინაშე და აღმოუჩინონ შემწეობა ამა თუ იმ საქმეში, მდგომარეობაში. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ როდის, რა შემთხვევაში იქნება შეწყნარებული, მიღებული ჩვენი ქება-დიდება და ოხოვნა? რას ვამჩნევთ ჩვენ ცხოვრებაში? უზნეო კაცი რომ მივიდეს, წარდგეს ზნე-დაცულ პირთან და ქება-დიდება შეასხას, ამნაირ ქებას იგი დიდ მნიშვნელობას არ მისცემს; შეიძლება საძრახისადაც, საწყენადაც მიიღოს. ესევე მოხდება, ჩვენ რომ ვადიდოთ ღმერთი ანუ რომელიმე წმიდანი და ცხოვრება ჩვენი კი არ შეესაბამებოდეს, არ ეთანხმებოდეს იმ მცნებათა, მოძღვრებათა, სწავლა-დარიგებათა, რომელთა აღსრულება სავალდებულოთ დაგვიდგინეს, დაგვიწერეს მათ. არა ვფიქრობ მიღებულ იქნეს ჩვენი ქება-დიდება მათდამი

მიმართული. ძველ აღთქმაშივე გამოსთქვა ეს აზრი ესაია წინასწარმეტყველმა: მახლობელ ანს წემდა ქრისტე პირითა მათითა პატივს მცემს მე; სოდო გულინი მათნი შთს განშორებულ არან ჩუმგან. ამათდ მსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღვრებასა და მცნებასა კაცთასა (ის. 29, 13). ე. ი. ტყვილა უბრალოდ იწუხებენ თავს, ვინც ფიქრობს, რომ სიტყვით ვალიდოთ ჩვენ ღმერთი, ანუ რომელიმე წმიდანი და საქმით საჭირო არ არის. მაშასადამე ჩვენგან თავდაპირველად ითხოვება, ჩვენი ყოფა-ცხოვრება ინაირად დავაყენოთ, იმნაირი მიმართულება მივცეთ, რომ სასიამოვნო იყოს როგორც ღვთისათვის, ისე იმ პირთათვის, რომელთაც თავისი წმიდა ცხოვრებით მოიპოვეს უკვდავება. ესევე ითქმის ჩვენი თხოვნის შესახებ. როგორი მიმართულებისაც არის კაცი, რა აზრისაც არის ცხოვრებაზე, რა მიზანიც აქვს მას ამორჩეული, მის მისაღწევად შესაფერ შემწეობას, დახმარებას თხოვილობს ღვთისაგან, მაგრამ როცა ჩვენი თხოვნა ეწინააღმდეგება საღმრთო წერილის და წმიდა მამების სწავლა-დარიგებას, იგი არასოდეს შეწყნარებული არ იქნება. „ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბორტტათ ითხოვთ“ ამბობს იაკობ მოციქული. ამისათვის საჭიროა ყოველმა ჩვენგანმა შეიგნოს მიზანი ცხოვრებისა, გაითვალისწინოს, თუ რა დანიშნულება აქვს კაცს, რისთვის ვართ გაჩენილი, რას უნდა ველტოდეთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ, რომ ჩვენ დანიშნულებას არ ივშორდეთ. რა არის ცხოვრების მიზანი? ეს კითხვა როგორც ძველს ისე ახალს აღთქმაში ცდილობდნენ და ცდილობენ დღესაც ახსნან, მაგრამ ერთ რომელიმე დასკვნაზე ვერ მისულან, ვერ გამოურკვევით, რადგან არ ხელმძღვანელობენ, არ იღებენ მხედველობაში არც საღმრთო წერილს და არც წმ. მამების სწავლა-დარიგებას. ვინც შეძლებული არის, ვისაც დიდი ქონება აქვს, ქადაგობს: კაცმა თავისი დღენი და წუთისოფელი სულ ლხინში უნდა გაატაროსო, არაფერზე არ უნდა იდარდოსო, მხიარულად უნდა იყოსო და რაც შეიძლება მეტი სიამოვნება უნდა ნახოს, სანამ ცოცხალით. სულ, გაქვს მრავალი კეთილი დაუწეულებული მრავალთა წელთა, განისვენე, ჰქეჭამე და ჸსუ და ისარებდ (ლუკ. 12, 19). ამ სიტყვებით გამოიხატება აღნიშნულ პირთა მოძღვრება. მაგრამ დანამდვილებით შეუძლიათ თუ არა მათ დამტკი-

ცონ, მოიპოვებოდეს ისეთი პირი, რაც უნდა მდიდარი იყოს, მწუხარება არ გამოევლოს. მვონი ვერ ნახავთ ისეთ (კაცს), აღამიანს, რომელსაც გარდა სიხარულისა, ლხინისა, სიტკბოებისა არ ენახოს რა ამ ჩვენ წუთისოფულში. ყოველ კაცს ბევრად თუ ცოტად ხვდება წილად წვალებისა და სიმწუხარის განვლა. ან როგორ მოხერხდება სხვანაირად? ყველამ რომ ილხინოს, ამისათვის ყველას საშუალება უნდა, ყოველი კაცი ეცდება ბევრი შეიძინოს კანონიერად იქნება თუ უკანონოდ. კანონიერად, ე. ი. თვისი შრომით, რომელიც უწვალებლად არასოდეს არ იქნება, უკანონოდ, ე. ი. წართმევით, წაგლეჯით, რაც გამოიწვევს ურთიერთ შორის გამწვავებულ, გაცხარებულ ბრძოლას, სისხლის ღვრის. მაშასადამე, ერთმა რომ სიტკბოება იპოვოს, განცხრომაში იცხოვროს, ამისათვის ასმა წვა და დაგვა უნდა გამოიაროს. მაშინ ხომ ლხინის მაგიერ მწუხარება, ტირილი და დაუცხრომელი ბრძოლა იქნება.

ზოგნი, გისაც ბევრი წვალება, მწუხარება გამოუვლია, არასფერს მიზანს არა ჰპოებს ცხოვრებაში და ამბობს: ტყვილა უბრალოდ გაჩენილა კაცი ქვეყნიერობაზე, უმჯობესი იყო სულ არ გაჩენილიყო, ვინემ თვისი დღენი წვალებაში გაატაროს. ამნაირ პირთათვის, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილთათვის ცოტა რამ მიზეზი არის საკმარისი, რომ თავიანთ თავი ამ ქვეყნიერებას უდროვნდ გამოასალმონ. მაგრამ ცხოვრებაში ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ეს ვაჟბატონები არღვევენ თავიანთ მოძღვრებას. ხშირად ვამჩნევთ, რომ ისინი ქიფობენ, ლხინში დროებას ატარებენ და არასოდეს უარს არ ამბობენ, თუ შემთხვევა მიეცემა მათ, ისარგებლონ ქვეყნიური სიკეთით. ათასში ერთს თუ იპოვნით, რომ სიკედილის დროს მას არ დანანდეს მოშორება ამ ქვეყნიური ცხოვრებისა, რაც უნდა ცუდ, გატირებულ მდგომარეობაში იყოს იგი. მაშასადამე ცხოვრებაში წვალებასთან, მწუხარებასთან ერთად განუშორებლად სიხარულიც ყოფილა. სიმწუხარესთან სიტკბოებაც განუშორებელია. ჩემის ფიქრით, კაცი კარგად ყოფნას ვერ დააფასებს, ვერ გიხარებს რამე სიკეთით, თუ მას არ უგრძენია სიმწუხარე. „ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა; ლხინსა ვინ მოიშეის პირველ ჭირთა უმუშავო?“ არის ნათქვამი. ვამბობ, ვერ იპოვნით ვე... კაცს, ვერა ოჯახს, რომ მას თავის

დღეში სიხარული არ ეგრძნოს, ხანგრძლივ, თუ მოკლე დროით. ზოგნი კიდევ იმას ამბობენ, ჩვენი ცხოვრება ბრძოლაა; უბრძოლელი ცხოვრება, ცხოვრებად არ ჩაითვლებათ. მაგრამ როდემდისინ უნდა იქნეს ეს ბრძოლა? თუ დაუბოლოვებელია, მაშინ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ჰქონია კაცისათვის, გარდა წვალების—მოუსვენრობისა? ძალ-მომრეობაზე როცა მიდგება საქმე, თითქმის ყველას, შეძლებულს და შეუძლებელს ვაშეხმებული ექნება სიცოცხლე. თუ აქვს ბოლო დასასრული, ეს მხოლოდ კაცობრიობის გადაგვარება, სრულებით მოსპობა უნდა იქნეს. ასე თუ ისე, ამნაირი შეხედულობა კაცის ცხოვრების მიზანზე არ აკმაყოფილებს ჩვენს გონებას, დაბეჯითებით ვერ არწმუნებს, ვერ უხსნის, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი დანიშნულება, რა მიზნის მისაღწევად უნდა ვშრომობდეთ. რასაკვირველია კარგია, როდესაც კაცის გონებას არ ძინავს, მოძრაობა ეტყობა, მაგრამ, რამოდენად მართალია ამ შემთხვევაში მისი სჯა, ეს საკითხია. არა მგონია ვინმემ უკეთესად განვიმარტოს, აგვინ-სნას ჩვენ, თუ რას უნდა ველტოლეთ და რა არის მიზანი ჩვენი ცხოვრებისა, როგორც საღმრთო წერილი—სიტყვა ღვთისა და წმ. მამათა ყოფა-ცხოვრება. თვალ-წინ განუშორებლად უნდა გვქონდეს ჩვენ მათი სწავლა-მოძღვრება, ყოველთვის უნდა ვდილობდეთ მივბაძოთ შათ ცხოვრებას და მაშინ მოიპოვებს სული ჩვენი შევბას; მაშინ იქნება შილებული ჩვენგან ქება-დიდება, მიმართული ღვთისადმი და წმიდანებისადმი და მაშინ მოგაქცევენ ჩვენ უურადღებას და შეისმენენ ჩვენ ვედრება-თხოვნას. თაში ერთი უნდა იყოს უსათუოთ: თუ გრწამს, მიგაჩნია ვინმე წმიდანათ, სჩანს მოგწონს მისი ცხოვრება და დარიგება, თუ მოგწონს, კიდევაც უნდა წაბაძო და თუ არ წაბაძო, ეს მისი ნიშანია, რომ არ მოგწონს და თუ არ მოგწონს არ მიგაჩნია წმიდანათ და თუ არ რაც წმიდანათ, იცოდე, დაჯერებული იყავი, შენი თხოვნაც შეწყნარებული არ იქნება მისგან, როგორც ზევითა ესთქვით. ამინ.

ქვეშ. წმ. გიორგის ეკ. წინამე. მარკოზ ტექმალაძე.

სახელმძღვანელო, საქურიდღებო,  
საჭირო და სასაკვებლო ცნობათი  
განვითარება.

## საქვებო კითხების განმარტება.

კით. ხშირად სასტო ანუ სასიძო ნამდვილ საბუ-  
თებს, რომელნიც წარმოდგენილნი იყვნენ  
„ობისკის“ შესადგენად გვირგვინის კურთხევის  
შინ, უკანვე თხოულობენ, როგორც მაგალი-  
თებრ, სინოდის კანტორიდგან მიცემულ მეტ-  
რიკულ მოწოდას, ნამსახურებით სიას და სხვა  
ამგვართა. რიგია თუ არა ამ პირებს გერბის  
მარკები მოეთხოვოს ამ საბუთებისათვის?

მიგ. თუ ნამდვილი საბუთების, რომელნიც წარდგე-  
ნილნი იყვნენ ობისკის შედგენის დროს, სასი-  
ძო ან სასტო უკან დაბრუნებას ითხოვენ,  
მღვდელმა ამ საბუუბის პირები უნდა დაი-  
ტოვოს ობისკში ჩასაკერებლად და ყველა ამ-  
გვარ პირებს უნდა დაეკრას ისეთივე მარკები,  
როგორიც ეკრა ნამდვილ საბუთს. ამ პირებზე  
უნდა ქონდესთ ხელი მოწერილი ნამდვილი  
საბუთების მიმღებთ, რომელთაც ეკუთვნოდენ  
იგინი.

კით. სტაროსტის არჩევის დროს ირჩევა მრევლ-  
თაგან ორი სანდო პირი დასასწრებლად ყუ-  
ლაბების გახსნის, წიგნების შემოწმების და  
ანგარიშის შედგენის დროს. რაში მდგომარე-  
ობს ამ პირთა მოვალეობა?

მიგ. უწმიდესი სინოდის უქაზის ძალით, ეს პირნი  
მოვალენი არიან ყულაბების გახსნის და  
შესავალ-გასავ. წიგნის შემოწ. დროს დაესწრენ  
და თავიანთი ხელის მოწერით დაამოწმონ ყუ-  
ლაბებისაგან გამოღებული ფულების რაოდენო-  
ბა და შესავალ-გასავლის ანგარიში. თუ რამე  
უკანონობა შენიშნეს მათ შესავალ-გასავლის  
წიგნის ანგარიშის წარმოებაში, შეუძლიათ  
მოახსენონ ეს ადგილობით ბლალობინს. (იხ.  
უწმიდესი სინოდის განმარტებითი განჩინება  
1892 წ. 9 ნოემბრიდან).

კით. ცენზურაში წარდგენილ ხელნაწერს, რომლის  
შესახებ ითხოვება ნება-რთვა დაჭაბეჭდათ, რა  
ფასიანი მარკა უნდა ეკრას? გიგანტის  
შიგ. სამ-აბაზიანი გერბის მარკა.

კით. როცა ერთი წევრი კრებულისა უჩივის თავის  
ამხანაგ წევრს—მღვდელს ან მთავარ-დიაკონს  
ბლალობინთან, ბლალობინი ვალდებულია თუ  
არა, რომ თვითონ მივიდეს მაინცა-და-მაინც  
და გამოიძიოს, თუ ავადმყოფობისა ანუ სხვა  
დამაბრკოლებელ მიზეზთა მიხედვით შე-  
უძლია, რომ მღვდელ-მთავართან გაგზავნოს ეს  
საჩივარი?

მიგ. ბლალობინის სახელზე შეტანილი საჩივარი,  
უთუოდ ბლალობინმა, ან თვითონ და ან სხვა  
საიმედო კაცის საშუალებით უნდა გამოიძიოს  
და თუ საჩივარი პატივ-სადები აღმოჩნდება,  
უნდა მოახსენოს მღვდელ-მთავარს. ბლალობი-  
ნის სახელზე შეტანილი საჩივარი მღვდელ-  
მთავართან არ გაიგზავნება გამოუკვლეველად.

კით. მამასახლისი თხოულობს, რომ მისგან გამოგ-  
ზავნილ ქალალდზე დაწეროს მღვდელმა მეტ-  
რიკული ცნობები შობა-მონათვლაზე ამა თუ  
იმ პირისა. შეუძლია თუ არა, მღვდელმა უარი  
უთხრას ამაზედ?

მიგ. მამასახლისისაგან კანონიერად მოწერილი ქა-  
ლალდი მეტრიკიდან შობა-მონათვლაზე ცნო-  
ბის მიცემის შესახებ, მღვდელმა უნდა დაი-  
ტოვოს და თვითონ მოწმობაზე უნდა დაწე-  
როს, რომ იგი ეძლევა მამასახლისს მისი კანო-  
ნიერი მოთხოვნილებისამებრ. მაგრამ პატარა  
ნაგლეჯ ქალალდებზე მინაწერ ბარათებს, რომ-  
ლებიც მწერლებისაგან იგზავნებიან მამასახლი-  
სების გაუგებლად, ყურადღება არ უნდა მიაქ-  
ციონ. თუ მეტრიკული ცნობები ნამდვილ  
საჭიროა, მოთხოვნილებაც რიგიანი და საფუ-  
ძლიანი უნდა იყოს.

კით. აქეს თუ არა უფლება სახაზინო გლეხს, თა-  
ვისი სახლი უნდერძოს ეკულესიას?

მიგ. სახლი თუ მის საკუთარ აღილზე არის რაღ-  
გმული, რასაკვირველი შეუძლია. თუ სახაზი-  
ნო აღილზეა აშენებული, მაშინ საჭიროა სა-  
ხაზინო უწყების თანხმობა.

პილება ხელის-მოჭარა 1902 წლის 10 თებერვალის 10 კერძო სააგათო ფონტი აგზულათონით ურთ  
ავირეულ გამოცემათა ჩართულს

# „მუზემს“-ზე

ქ

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

## ე უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი:

12 თებერვალი	«მუზემსი»	3 გ.	6 თებერვალი	«მუზემსი»	23.
— „რუსული	„	3 გ.	— „რუსული	„	2»
— .. ორივე გამოცემა	5 »	— .. ორივე გამოცემა	3»		

ბაზეთშე ხელის-ზორება შეიძლება როგორც  
უგირდიდაში, აგრეთვე ქუთასიშიან. თბილისში  
წერა-კითხების გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის  
მაღაზაში, ბ. შიო ქუთაშვილთან. ფილი—ლექა  
ნოზ ბ. გრიგოლ მაჭაროვთან; სახელქაში—უ რა ა  
ჩაედესთან; ხალციხეში—ლექანოზ ლ. ხახუთლოვთან;  
ხალცენაჟში—ბლალოჩინ მარა არისტარქ კალანდარ-  
შეილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარით გაზეთებიდან  
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ განეთა დ.

რედაქტორის აქვთ კანტორები: ქუთასიში დეისაძის  
სახლებში და ეგირიშაში რედაქტორის საკუთარ  
სახლებში.

ბაზე პრეზენტორებით ქურნალის დაბარეცხა შეუძლიათ  
ამ აღრესით: Въ Квирили, въ редакцію газеты и  
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქტორი მოიპოვება წარსული წლების რამ-  
დენიმე სრული გამოცემანი „მუზემსი“-სა, რომელ-  
ნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

ამ ნომერთან იგზავნება განცხადება ბ.  
ანატოლი კერნერისა.

## ს. გ. მუზემსი.

ქ. ქუთასიში.

სააგათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი.  
ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენიო-  
ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენიო-  
ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფ-  
ნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის ვ  
საათამდე.

შინაგან და ნერვული ავათმულფებს მიიღებს  
მა. ს. ბ. მუზემსი.

ქირირგიულ შარლით სიცილისით და თვალების  
ავათმყოფობისათვის.

მა. ვ. კ. გერბატი.

დედაქაცურ ავათმულფთა და საბებით ქალი.  
მა. ბ. ვ. კოგანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსი-  
ლიუმის ფასი 3 გ. დღე და ღამე ქირა სა-  
ავათმულფოში სრული ხარჯით და ექიმობით  
2—3 მანეთამდე. აპერაციის ფასი გარიგებაზე,  
სამკურნალოს ღირებულების ს. ბ. მუზემსი.

## შ ი ნ ა ბ ა ს ი:

სალიტერატურო განცოცილება: სიტყვა, 21 კვი-  
რიანება, თქმული ქუთასის საკათედრო ტაძარში ყ-დ სამღ-  
ებისკ. ლეონიძის მიერ.—ლერთო ამრავლე ამისთანა მასწავ-  
ლებელი ჩვენში!—მართლ-მადიდებლობით ქრისტიანებრივის  
საეკლესით საზოგადოებითის ღვთის ძსახურების განმარტება.  
ყაჭახიძისა.—კურთხევა მათხოვის დედათა საცნის ახლად  
აგებული ეკკლესიის 4 ნომბერს. დამსწრეს.—ახალი ამბები  
და შენიშვნები.

სუავლა და მაცნეობება ძრის სისტორიაზე: სიტყვა, თქმული 10  
გიორგობისთვეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში მარქო  
ტყემალაძის მიერ.

საჭირო და სასაჩვებლო ცეობათა განცოცი-  
ლება: საეჭვო კითხვების განმარტება.  
განცხადება.

Редактор-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлис, 16 ноября 1901 г. ♦ Цензоръ пром. Е. Елиевъ

Гипог. редакции журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ. въ д. А. Дейсадзе на Нѣменской ул.